სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

22 აგვისტო 2023

NCDC 0 23 00000094

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

"გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N 420 დადაგენილების მე - 6 მუხლის და „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" და „ს" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ.ლ-საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი), ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების და საბოლოო დასკვნის მომზადების მიზნით შეიქმნას საექსპერტო კომისია (შემდგომში -კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა გაბრიაძე - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დალი კეკელიძე-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის მდივანი);

გ) რობიზონ წიკლაური- გარემოს რისკ-ფაქტორების შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

დ) ქეთევან ზარიძე-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წვერი);

ე) ელენე ჩიჩუა-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წვერი);

ვ) ხათუნა ფირანიშვილი- იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი(კომისიის წევრი);

ზ) ქეთევან ღამბაშიძე-მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი).

2. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილ კომისიას 2023 წლის 10 ოქტომბრამდე გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგინოს ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საფუძველზე მომზადებული საექსპერტო დასკვნა, შემდგომში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

3. საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ (შესაძლებელია ონლაინ სხდომების გამართვა).

4. კომისიის მდივნად განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი დალი კეკელიძე.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელოწერისთანავე.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
პაატა იმნაძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად